ქართული მოდერნიზმი

მოდერნიზმის დაბადება

პირველად ადამიანისა და არქიტექტურის გადაკვეთა მოხდა ქვისხანაში, როდესაც ადამიანი შევიდა გამოქვაბულში და დასახლდა, მხეცებისა და გარემოპირობებისგან დაცვის მიზნით. მის შემდგომ ერთად, როგორც ერთი მთლიანობა, მოხდა საუკუნეების მანძილზე მათი ზრდა, სწავლა, დახვეწა და სრულყოფა. ამ დროის განმავლობაში ადამიანის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა არქიტექტურაც და ბევრი სტილის შეცვალა მოუწია მას. IX საუკუნის დასასრულს კიდევ ერთხელ დადგა არქიტექტურული სტილის შეცვლის საკითხი, რაც განპირობებული იყო ტრადიციული ფორმების მოძველებასთან, უარის თქმა წარსულზე და მისი ახალი ტექნოლოგიებითა, მუდამ ახალი ფორმების ძიებით და ყველა ფორმის არსებობის სურვილის ჩანაცვლებით, რაც ხელს შეუწყობდა პროგრესის განვითარებას. ამ გერომოებიდან გამომდინარე მოხდა **მოდერნიზმის** როგორც არქიტექტურული სტილის დაბადება.

რა არის მოდერნიზმი

მოდერნიზმი (ლათინურად modernus და ნიშნავს " თანამედროვე, ბოლოდროინდელი") კულტურული მიმდინარეობა, ძირითადად მოიცავს პროგრესულ არქიტეტურას, მუსიკას, ლიტერატურასა და დიზაინს, რომელიც 19 საუკუნის მიწურულს აღმოცენდა. ეს იყო ხელოვანთა და არქიტექტორთა მოძრაობა მე-19 საუკუნის აკადემიური და ისტორიული ტრადიციების წინააღმდეგ. ცდილობდა რა აჰყოლოდა სახეშეცვლილი თანამედროვე მსოფლიოს ახალ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს. მოდერნიზმის მთავარი არგუმენტით მე-20 საუკუნის რეალიები პერმანენტული და გარდუვალი იყო, და შესაბამისად ხალხს მათი სამყაროს ადაპტირება უნდა მოეხდინა, იმ იდეის გათავისებით, რომ **ის რაც ახალია, ასევე კარგია და ლამაზი**. ისევე როგორც ევროპის ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა მოდერნიზმს თავისებური შტრიხები შესძინა, რაც განპირობებული იყო კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონუმიკურ და ასევე გარემო პირობებიდან გამომდინარე. მოდერნიზმის მიმართულებებია: ევროპული ფუნქციონალიზმი 20-30 იან წლებში, საბჭოთაკავშირი 20-იან წლებში კონსტრუქტივიზმი და რაციონალიზმი, გერმანია მოძრაობა "ბაუჰაუზი", არქიტექტურული არტ-დეკოს სტილი, საერთაშორისო სტილი, ბრუტალიზმი, ორგანული არქიტექტურა.

მოდერნიზმის სულის ჩამდგმელნი

არტ-ნუვო (ან **იუგენდსტილი** გერმანიაში) მე-19 საუკუნის ისტორიულ მიმდინარეობათა აღორძინების მცდელობაში გარდატეხას ახდენს, თუმცა ახალი საუკუნის პირველ ათწლეულში მას მძაფრი კრიტიკით შეხვდნენ, ვინაიდან ამ პერიოდში გამეფებული რაციონალისტური იდეები ფორმალური ეფექტებისთვის პრაქტიკულ დასაბუთებას მოითხოვდა. მიმდინარეობის ყველაზე ეფექტიანი მოწინააღმდეგე **ადოლფ ლოოსი** 1908 წელს აქვეყნებს კრიტიკულ ნაშრომს **"ორნამენტი და კრიმინალი",** სადაც ამტკიცებდა, რომ ზედაპირების დეკორაციის სურვილი პრიმიტიული იყო. მისი არგუმენტები მოგვიანებით მოდერნისტებმა აიტაცეს, რაც კატალისტი გახდა შემდგომში ზედაპირთა დეკორაციის სრულ უკუგდებაში.

ბაუჰაუზს საფუძველი ჩაეყარა ევროპაში და, კერძოდ, გერმანიაში არეულობისა და კრიზისის პერიოდში. მისი დაარსება იყო მრავალფეროვან პოლიტიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და მხატვრულ მიმართულებათა სინთეზის შედეგი მე-20 საუკუნის პირველ ორ ათწლეულში. **ბაუჰაუზი** (მშენებლობისა და მხატვრული კონსტრუირების უმაღლესი სკოლა) — სასწავლო დაწესებულება გერმანიაში 1919-33 წლებში და მცირე ხნით აშშ-ში, ასევე სამხატვრო გაერთიანება, რომელიც ამ დაწესებულებაში შეიქმნა და განაპირობა არქიტექტურული მიმდინარეობის აღმოცენება. მიმდინარეობა მოდერნისტული არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სკოლად იქცა.

ბაუჰაუზის სამხატვრო სკოლა ოთხ სხვადასხვა ქალაქში არსებობდა (**ვაიმარში** 1919-25, **დესაუში** 1925-32, **ბერლინში** 1932-33 და **ჩიკაგოში** 1937-38) ოთხ სხვადასხვა არქიტექტორ-დირექტორის ხელმძღვანელობით (**ვალტერ გროპიუსი** - 1919-28, **ჰანეს მაიერი** 1928-30, **ლუდვიგ მის ვან დერ როე** 1930-33 და **ლასცლო მოჰოლი-ნაგი** 1937-38).

ორგანული არქიტექტურის ფუძემდებელი **ფრენკ ლოიდ რაიტი** (8 ივნისი, 1867 - 9 აპრილი, 1959) — XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი არქიტექტორი-ნოვატორი დასავლეთის არქიტექტურაში; 700-ზე მეტი ნაგებობის და ასობით პროექტისა და თეორიული ნაშრომის ავტორი. იგი ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ეკლექტიზმისა და ფსევდოკლასიციზმის წინააღმდეგ.

ჰუგო ალვარ ჰენრიკ აალტო (დ. 3 თებერვალი, 1898, კუორტანე, ფინეთი — გ. 11 მაისი, 1976, ჰელსინკი, ფინეთი), ფინელი არქიტექტორი და დიზაინერი. მოღვაწეობდა ფინეთში, შვედეთში და აშშ-ში. ეროვნული ტრადიციების ნიადაგზე ერთმანეთს შეუხამა **ფუნქციონალიზმისა და ორგანული არქიტექტურის პრინციპები. შექმნა ლანდშაფტთან შერწყმული მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიციები;** აგურთან, მინასთან, სპილენძსა და ბეტონთან ერთად აქტიურად გამოიყენა ადგილობრივი მასალა — ხე და გრანიტი.

ოსკარ ნიმეიერი (15 დეკემბერი, 1907, რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია — გ. 5 დეკემბერი, 2012, რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია) — ბრაზილიელი არქიტექტორი. მან შექმნა საკუთარი თლილი ფორმები. მისმა სიმსუბუქემ შექმნა სივრცე რამაც არქიტექტურული სქემა გარდაქმნა რაღაც აქამდე უცნობში. ჰარმონიულობა, გრაციოზულობა და ელეგანტურობა, ნიმეიერის შემოქმედებას კარგად აღწერს ეს სიტყვები. ნიმეიერის შექმნილმა ადაპტაციებმა შესაძლებელი გახადა გამოცდილების ეფექტიანი გამოსახვა, რათა დაეკავშირებინა ბაროკოს ენა თანამედროვე არქიტექტურასთან.

ლე კორბიუზიე (6 ოქტომბერი, 1887, ლა-შო-დე-ფონი, შვეიცარია — გ. 27 აგვისტო, 1965, როკბრიუნ-კაპ-მარტენი, ლაჟვარდოვანი ნაპირი, საფრანგეთი) — ფრანგი-შვეიცარიელი არქიტექტორი, თეორეტიკოსი, ფერმწერი და დიზაინერი. სახელი გაითქვა მოდერნისტული (ე.წ. **„საერთაშორისო სტილის“**) ნამუშევრებით. ლე კორბუზიე პიონერი იყო თანამედროვე დიზაინის თეორიულ სწავლებაში. ან ჩამოაყალიბა თავისი ცნობილი 5 პრინციპი თანამედროვე არქიტექტურაში: 1 თავისუფალ საყრდენებზე მდგარი შენობა. 2 ფასადის თავისუფალი კომპოზიცია. 3 ლენტური ფანჯრები. 4 ბრტყელი გადახურვა, ვერანდა ბაღით. 5 შიდა თავისუფალი დაგეგმარება.

მოდერნიზმის შემოსვლა საქართველოში

მეფე ერეკლე II-ის 1783 რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატის გაფორმების შემდგომ, საქართველო შევიდა რუსეთის დაქვემდებარებაში. 1918 წლის 26 მაისს, გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, თუმცა საქართველო რჩებოდა საბჭოთა კავშირში 1991 წლის 9 აპრილამდე, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. პოლიტიკასთან ერთად არქიტექტურაშიც საქართველო რუსული არქიტექტურის ზეგავლენის ქვეშ იყო. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი მოდერნიზმის საქართველოში შემოსვლისა, კონსტრუქტივიზმისა და რაციონალიზმის სახით.

კონსტრუქტივიზმი იყო ხელოვნებისა და არქიტექტურის მიმდინარეობა რუსეთში 1914 წლიდან (განსაკუთრებით აქტუალური ოქტომბრის რევოლუციის დრო), ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება თანამედროვე ხელოვნებაში, და რომელიც უარყოფდა წმინდა ხელოვნებას, უპირატესობას ანიჭებდა რა ხელოვნებას, როგორც სოციალური დანიშნულების ინსტრუმენტს — სოციალისტური სისტემის მშენებლობისთვის.

ტერმინი „კონსტრუქციის ხელოვნება“ პირველად გამოიყენა **კაზიმირ მალევიჩმა** 1917 წელს **ალექსანდრე დორჩენკოს** ნამუშევრის აღწერისას. კონსტრუქტივიზმი, როგორც პოზიტიური ტერმინი პირველად გამოჩნდა **ნაუმ გაბოს** 1920 წლის **„რეალისტურ მანიფესტში“**. ამ სტილის მიმდევრები ინდუსტრიული დიზაინის

გავლენის ქვეშ იყვნენ და მასვე იყენებდნენ შემოქმედების მასალად (ლითონის ფურცლები, მინა და მისთ.). ხშირად ეს მასალა გამოყენებული იყო გეომეტრიული ფორმის ობიექტების შესაქმნელად.

მიმდინარეობის ჩამოყალიბება ეკუთვნის **ვლადიმერ ტატლინს,** ხოლო გვიანდელ კონსტრუქტივისტთა შორის იყვნენ **მანუელ რენდონი, ხოაკინ ტორეს გარსია, ანტუან პევსნერი** და **ნაუმ გაბო**. ახალი მიმდინარეობის იდეოლოგია ჩამოაყალიბა განათლების სახალხო კომისარმა **ანატოლი ლუნაჩარსკიმ** პეტროგრადის ძველი სახვითი ხელოვნების აკადემიის და მოსკოვის მხატვართა კოლეჯის ბაზაზე 1918 წელს. კონსტუქტივისტთა იდეოლოგიური ცენტრი მოსკოვში იყო „ვხუტემასი“ — ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა დაარსებული 1919 წელს. გაბოს მტკიცებით სწავლება ამ სკოლაში უფრო მეტად პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დისკუსიებს ემყარებოდა ვიდრე თავად ხელოვნებას.

კონსტრუქტივიზმის კანონიკური ნაშრომი იყო ტატლინის პროექტი მესამე ინტერნაციონალის (1920) მონუმენტისთვის, რომელშიც მან გააერთიანა მანქანური ესთეტიკა დინამიურ კომპონენტებთან, როგორიცაა სამძებრო ფარნები და პროექციული ეკრანები. გაბომ ტატლინის ნამუშევარი სახალხოდ გააკრიტიკა, მოუწოდა რა მას **„შექმნას ფუნქციონალური შენობები და ხიდები ან წმინდა ხელოვნება, და არა ორივე ერთად“**. ამას მოჰყვა 1920 წელს მოსკოვის ჯგუფის ორად გაყოფა, როდესაც გაბომ და პევნერმა გამოაქვეყნეს **„რეალისტური მანიფესტი“**, რომელშიც გამოცხადებული იყო მოძრაობის შემოქმედებითი ბირთვი. ეს ეწინააღმდეგებოდა ტატლინისა და როდჩენკოს კონსტრუქტივიზმის უტილიტარულსა და ადაპტირებად ვერსიას. გაბოსგან გამიჯვნისთვის ამის შემდეგ ტატლინი და როდჩენკო საკუთარ განშტოებას **„პროდუქტივიზმს“** უწოდებენ. კონსტრუქტივისტთა მთავარი პოლიტიკური პატრონი **ლეონ ტროცკი** იყო, მაგრამ 1921 წლიდან მისი მხარდაჭერა მცირდება — კომუნისტურ პარტიას არ შეეძლო მხარი დაეჭირა წმინდა ხელოვნების მოძრაობისთვის.

რაციონალიზმი (ასევე რაციონალური არქიტექტურა), XX საუკუნის I ნახევრის არქიტექტურულ მიმართულებათა ერთიანობა, რომელიც პროგრამულად მოიცავდა თანამედროვე მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევებს. ფართო გაგებით, რაციონალიზმი ზოგჯერ გაიგივებულია **„თანამედროვე არქიტექტურის ცნებასთან“**. მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს (ლ. ჰ. სალივენი, აშშ-ში; ჰ. პ. ბერლაგე ნიდერლანდში; ო. პერე საფრანგეთში და სხვები). რაციონალიზმის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთში ლე კორბუზიემ, გერმანიაში ვ. გროპიუსმა. რაციონალიზმის განვითარება მოიცავს ძირითადად 20-50-იან წლებს. რაციონალიზმის ქალაქთმშენებლური იდეები აისახა ე. წ. ათენის ქარტიაში (1933), ხოლო 50-იანი წლების საერთო არქიტექტურულმა პრინციპებმა წარმოქმნა ე. წ. საერთაშორისო სტილი (ლ. მის ვან დერ როე და სხვები). 50-იანი წლების დასასრულს კრიზისის მიზეზი გახდა მის წარმომადგენელთა არქიტექტურულ აზროვნების დოგმატიზმი და სოციალისტური-რეფორმისტული უტოპიზმი.

ორ საუკუნოვანი დაქვემდებარების ქვეშ ბევრი საინტერესო, წარმატებული მოდერნისტული ნაგებობა შეიქმნა საქართველოში. ასევე მრავლად შეიქმნა უსახური ნაგებობებიც, ეს უკანასკნელი კი იმ დროინდელი კომუნისტური სისტემის დამსხურებაა, რადგან არ არსებობდა კრიტიკა ვინც ამ უსახურ ნაგებობებს გააკრიტიკებდა.

ქრთული მოდერნიზმის განვითარება

საბჭოთა მართველობის შემდგომ იწყება დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრება, მაგრამ საქართველო გავს პატარა ბავშვს რომელმაც ჯერ ეს ესაა შეიცნო სამყარო და დაიწყო მისი აღქმა და დაინახა თუ რა გამოწვევების წინაშე დგას. ბნელი და რთული 90 იანები, ომები, ერთმანეთთან დაპირისპირებები, ხალხი გადარჩენისთვის იბრძვის სიცოცხისთვის იბრძვის. რათქმაუნდა არქიტექტრა როგორც კულტურა და ხელოვნება დავიწყებას მიეცა, თუმცა პარალელურად გაჩნდა **ქართული ინდივიდუალური არქიტექტურა** რომელიც გამოიხატება დაშენება მიშენაბაში, რომელმაც მასიური ხასიათი მიიღო და ჩაანაცვლა არქიტექტურა. ამის გამო ბევრმა არქიექტურულმა ნაგებობებმა დაკარგეს პირვანდელი სახე და გახდნენ მიშენება დაშენების მსხვერპლნი. რათქმაუნდა აქაც არ არსებობდა კრიტიკა ან რომელ კრიტიკაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ხალხი სიცოცხლისთვის გადარჩეისთვის იბრძვის. რთულია გაამტყუნო მათი მოქმედება. ბავშვი რომელიც მარტო აღმოჩნდა და ჰგონია რომ მთელი სამყარო მისი წინააღმდეგია, პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს. არქიტექტურაც მასთან ერთად გვერდი გვერდ ერთმანეთს მხარს უდგამენ.

2001 წელს დამუკიდებელ ქართულ მოდერნისტულ და ზოგადად არქიტეტურაში შემოდის **კიდ არქიტექტურა** რომელიც ერთერთი პიონერი გახლდათ. გაჩნდა იმედი რომ ჯერ კიდევ ცოცხალია არქიტექტურა საქართველოში და არ შთანთქმულა მიშენება დაშენებების მიერ. 1999 წელს დაპროექტებული და 2001 წელს დასრულებული იქნა მრავალსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა **საცხოვრებელი სახლი ნიკოლაძის №4.** საინტერესო ნაგებობაა იგრძნობა სიმსუბუქე, სისადავე, ტერასულ გადაწყვეტითა და შემინვით, რომელიც ახლოსაა თბილისურ ლანდშაფტთან და იდეოლოგიასთა, როგორც სტუმართმოყვარე. გრძელდება მიშენაბა დაშენების არქიტექტურა და მას თან დაემატა დეველოპერები რომლებიც ასევე უსახური ნაგებობებით ამდიდრებენ საქართველოს. მიუხედავად ყველაფრისა 2012 წლამდე მყარად ვერ,ა მაგრამ მაინც ფეხზე დგას საქართველოსთან ერთად მოდერნისტული არქიტექტურა. შეიქმნა ბევრი წარმატებული და საინტერესო ნაგებობები და ასევე წარუმატებლებიც როგორც ქართველი ასევე უცხოელი არქიტოქტერების შემოქმედებით.

ქართული მოდერნიზმი დღეს

დღეს კვლავ რთულად არის საქმე მიშენება დაშენების როგორც არქიტექტურული სტილის მიმართ, უკვე შეგვიძლია იგი როგორც სტილად ისე მოვიაზროთ. ასევე პრობლემად რჩება დეველოპერული არქიტექტურაც. პრობლემაა ხალხშიც ჯერ კიდევ არარიან მოდერნიზმის მიმართ მზად , ჯერ ისევ წარსულ არქიტექტურულ სტილებს მინატრიან, რომელზეც მოდერნიზმმა და მასთან ერთად მსოფლიომ უარი ჯერ კიდევ 19 საუკუნის მიწურულს თქვა. თუმცა დღეს ბევრი ქართველი მოდერნისტი არქიტექტორი ქმნის გემოვნებიან და საინტერესო პროექტებს, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ და საზოგადოებაც მიიღებს აღიარებს და შეიყვარებს. სწორი და ფაქიზი მიდგომაა საჭირო, ასევე ჯანსაღი კრიტიკა და რათქმაუნდა მართველი ორგანოს ნება ყველაფრის აწონვ-დაწონვა და სწორად შეფასება.